ხაშურის მოამბე

№38(411) 9 ოქტომბერი, ორშაბათი, 2023 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

5 ოქტომბერს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი გაუძღვა.

სხდომამ დაამტკიცა ცვლილებები საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის N32 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

შესაბამისი ცვლილებები შევიდა ცალკეული ასიგნებებით განსახორციელებელი ღონისძიებები გეგმაში.

სხდომის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა, მოისმინეს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, მიმდინარე წლის 9 თვეში, გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად.

შიდა ქართლი ,,თბილისობის“ დღესასწაულს შეუერთდა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმში ,,თბილისობის“ დღესასწაული მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლებმა ფოლკლორული კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ადგილობრივი სამზარეულო, ღვინის კუთხეები და ქართული ტრადიციული რეწვის მასტერკლასები წარმოადგინეს. ასევე, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა რეგიონისთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრება, ოჯახური რიტუალები თუ ტრადიციები, ლხინის, სუფრის, მოსავლის აღება-დაბინავების სცენები და სხვა. წელს უკვე მეორედ ,,თბილისობას“ შიდა ქართლის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტი შეუერთდა.

მუზეუმში გამართულ ღონისძიებას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. ამ დღისთვის მოწყობილ შიდა ქართლის კუთხეში მინისტრს სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ სიმონ გულედანმა რწმუნებულის მოადგილესთან აბელ აბესაძესთან და რეგიონის მუნიციპალიტეტების პირველ პირებთან ერთად უმასპინძლა და რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციები და ადგილობრივი ღვინო გააცნო.

ღონისძიების ფარგლებში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში სამეფო ნაციონალური ბალეტის - „ფოცხიშვილების“, ანსამბლის „დიდგორი“ და ანსამბლის „მართვე“ მონაწილეობით გალაკონცერტი გაიმართა.

ადრეულ დიაგნოსტიკასა და დროულ სკრინინგს ალტერნატივა არ აქვს

კამპანია „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე და ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატს ბიუროს წარმომადგენელი ხატია ლომიძე ხაშურს N1 საჯარო სკოლას ესტუმრნენ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, სკოლის დირექტორთან, მორის დანდურიშვილთან ერთად, პედაგოგებს კამპანიის მიზანზე, დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკასა და დროული სკრინინგის მნიშვნელობაზე ესაუბრა. აგრეთვე, ინფორმაცია მიაწოდა ხაშურის სამედიცინო დაწესებულებებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით დაგეგმილ მამოლოგიური და გინეკოლოგიური კვლევების აქციებზე. პედაგოგებს დაურიგეს ფლაერები.

„ვარდისფერი ოქტომბერი“ მსოფლიოში 1997 წლიდან აღინიშნება, რომლის მიზანი ცნობიერების ამაღლება, რისკების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და კიბოს სკრინინგის აუცილებლობაა.

საუბრები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „საინფორმაციო ცენტრმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტში მერიის ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას უძღვებოდა ცენტრის შიდა ქართლის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელი ციკო შაქარაშვილი.

შეხვედრაზე იმსჯელეს დასავლური ღირებულებების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, არსებული შესაძლებლობებისა დაგამოწვევების შესახებ, განიხილეს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა ინტეგრაციულ პროცესებში.

სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ მიზანია ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა, გაცნობიერებული მხარდაჭერის შენარჩუნება და განმტკიცება. ამ მიზნის მისაღწევად, საინფორმაციო ცენტრი ატარებს სამიზნე ჯგუფების სპეციფიკაზე მორგებულ საინფორმაციო კამპანიებს, საჯარო ღონისძიებებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებს, ღია დისკუსიებსა და შემეცნებით აქტივობებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის № 32 დადგენილ ებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 26 755.5 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 5 968.0 ათას ლარი (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 4 474.9 ათასი ლარი, დელეგირებული - 65.2 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 1 427.9 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2023 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით, 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 41 846.6 ათასი ლარით, რაც 15 091.1 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 27 223.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 99,97% ხოლო წლიური გეგმის 74,98%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 100,52% (17 877.9 ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი 99,34%-ით ხოლო წლიურ გეგმასთან მიმართებაში- 74,51%, საწარმოთა ქონების გადასახადი 164,41%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 84,28%, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 3,14%, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 2,36%, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 24,53% , წლიურ გეგმასთან მიმართებაში 18,40%, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 7,0%, წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 5,25%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 164,479%-ით (3 365.0 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა 143,55%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 107,76%, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 111,13%ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 83,35%, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 80,94%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 69,708%, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან 174,0%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 130,50%, შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან 98,56%, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 73,92%, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 41,37%, წლიურ გეგმასთან მიმართებაში 31,03%, -ით.

2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 21,63%-ს (5 887.5 ათას ლარს), ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 415.0 ათასი ლარი, მიღებულია – 311.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 27.12.2021 N2374 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000 ლარი, რომელიც მიმართთულია ხაშურში ზემოსერის ტყე-პარკის რეაბილიტაციისთვის.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის იანვრის N2475 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6 451 882 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (სოფელ ცოცხნარამდე და ქემფრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ ბრილში მისავლელი გზის მოასფალტება, ჩქაროსნული მაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტება და ქ.ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რებილიტაცია), დაბა სურამში ლესელიძის ქუცაზე ახალ სასაფლაომდე გზის მოასფალტება.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 759 065 ლარი (სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 416 830,40 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 სექტემბრის N1640 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 137 800 ლარი მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანის შესასყიდად.

2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 24 615.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 65,378% ხოლო წლიური გეგმის 58,63% შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ცხრა თვის განმავლობაში, გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 65,37% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 14,23%), თავდაცვა - 52,19% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,47%), ეკონომიკური საქმიანობა - 40,16% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 30,60%), გარემოს დაცვა - 65,82% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 4,86%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 56,38% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 4,21%), ჯანმრთელობის დაცვა - 90,18% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,33%), დასვენაბა, კულტურა და რელიგია - 62,23% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 15,96), განათლება - 84,69% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 10,05%), სოციალური დაცვა - 80,52% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 4,43%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 79,61%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 61,79%, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები - 60,83%-ით,წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 52,559% სუბსიდიები - 86,29%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 69,79%, გრანტები - 50,0%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 50,0%, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 86,47%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 86,47% სხვა ხარჯები - 22,60%-ით, წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 22,60% არაფინანსური აქტივების ზრდა - 58,62%-ით,წლიურ გეგმასთან მიმართებაში - 55,07%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეთით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია :

3000 ლარი (ბრძანება N84.842315113 - 31/05/2023) ქ.ხაშურში ძნელაძის ქუჩაზე არსებული საბიბლიოთეკო გაერთიანების ავარიული შენობის ჩამონგრეული ნაწილის გატანის და დაზიანებული სახურავის მოსახსნელად სპეც.ტექნიკის დაქირავების მიზნით;

3000 ლარი (ბრძანება N84.84232132 - 01/08/2023) ქ.ხაშურში ბარათაშვილის ქუჩა N2 -ში მცხოვრები ზაალ ძინძიბაძის (პ/ნ 57001057028) საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების მიზნით;

1549 ლარი (ბრძანება N84.842322220 – 10/08/2023) 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების ზონაში მომუშავე მაშველებისათვის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, სანიტარულ ჰიგიენური საშულელბების შესაძენად'

500 ლარი (ბრძანება N84.84232293 – 17/08/2023) ქ.ხაშურში ცხინვალის ქუჩა N39ა-ში მცხოვრები მრავალშვილიანი დედის თეონა დემურაშვილის (პ/ნ 57801063806) დახმარების გაწევის მიზნით.

ლელა მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

მდინარე სურამულას კალაპოტი მცენარეებისგან სუფთავდება

ხაშურში სურამულას კალაპოტის მცენარეებისგან გასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი" და ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანია" საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით ახორციელებენ.

უკვე დასუფთავდა ტერიტორია „ივერიის" სტადიონიდან მტს-ს დასახლებამდე. ნარჩენების გატანის შემდგომ სამუშაოები ქიმერიძეების უბანში გაგრძელდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის „ხაშურსერვისისა" და „წყლისა და გამწვანების კომპანიის" ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს, ვინც აქტიურად არის ჩართული სამუშაოებში. დიდად ვაფასებთ მათი წვლილს ქალაქის დასუფთავებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34, 35,36,37)

* * *

15 იანვარს, გორის მაზრის სოფ. გვირგვინაში მცხოვრებმა ალექსი მოსეს ძე ჯე(ი)რანაშვილმა (35) მეორე ქორწინებით იქორწინა სოფ. წყვდელისში მცხოვრები მალხაზ არბოლოშვილის ასულ ელისაბედზე(17). სიძის თავმდებნი - სოფ. წყვდელისში მცხოვრებნი ბიძინა კაკოს ძე თათაშვილი, პავლე კაბილას ძე ყულუმბეგაშვილი, ნიკო ჯინას ძე ყულუმბეგაშვილი. სასძლოს თავმდებნი - სოფ. გვირგვინაში მცხოვრებნი გიბილა ლუარსაბის ძე ქოქოშვილი, ბეყო ბრენკას ძე ტატარბეგაშვილი, ბარძიმა სიმონის ძე გაბლოშვილი.

1 თებერვალს, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებმა პავლე დიმიტრის ძე წიქარიშვილმა (28) იქორწინა აქვე მცხოვრებ გიორგი მუმლაძის ასულ ანუსიაზე(-). სიძის თავმდებნი - სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებნი გიორგი ნიკოლოზის ძე მუმლაძე, ანდრია გლახას ძე ბარბაქაძე და მაქსიმე კიკოლას ძე ჯოლიძე. სასძლოს თავმდებნი იქვე მცხოვრებნი პავლე პეტრეს ძე მუმლაძე, დავით პეტრეს ძე გორგაძე, გლახუა ოტიას ძე მუმლაძე.

10 თებერვალს, შორაპნის მაზრის სოფ. შუქრუთში მცხოვრებმა ივანე გიორგის ძე ჯოხაძემ (20) იქორწინა ტიტვინის წყაროში მცხოვრებ პეტრე მუმლაძის ასულ სიდონიაზე(14). სიძის თავმდებნი - სოფ. შუქრუთში მცხოვრები ბეჟან დავითის ძე გაფრინდაშვილი, სოფ. კორბოულში მცხოვრები უფლისა გიორგის ძე კაპანაძე, სოფ. ლომისაში მცხოვრები ყარამან გიორგის ძე გაფრინდაშვილი. სასძლოს თავმდებნი - სოფ. ტიტვინის წყაროში მცხოვრებნი მაქსიმე ნიკოლოზის ძე ჯოლიძე, დათა პეტრეს ძე გორგაძე, ნიკა ფირანის ძე წიქარიშვილი.

* * *

20 იანვარს, სოფ. მურყნისწყაროში გარდაიცვალა პეტრე გელაშვილის ცოლი ხათუნა სიმონის ასული, 43 წლის, საოფლით

28 იანვარს, სოფ. მურყნისწყაროში გარდაიცვალა პეტრე გელაშვილის ასული დესპინე, 2 წლის, საოფლით.

3 თებერვალს, სოფ. მურყნისწყაროში გარდაიცვალა პეტრე გელაშვილის ძე ერმილე, 5 წლის, საოფლით.

20 თებერვალს, სოფ. კლდისწყაროში გარდაიცვალა ივანე გიორგის ძე ნოზაძე, 60 წლის, ანთებისგან.

1882

10 ნოემბერს, (1881) სოფ. ულუმბოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესის მღვდელს ალექსი დიმიტრის ძე კევლიევს და ანასტასია საბას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი გიორგი. 16 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ქვემო ნიქოზში მცხოვრები თავადი ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენოვი.

1 დეკემბერს, (1881) სოფ. ქარელში მცხოვრებ ნიკოლოზ სიმონ მღვდლის ძე ხარატოვს და ოლღა ალექსის ასულს შეეძინათ ქალიშვილი კლავდია. 16 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ავლევში მცხოვრები თავადი ალექსანდრე როსტომის ძე ამირეჯიბი.

6 იანვარს სოფ. ტიტვინისწყაროში მცხოვრებ მათე გლახას ძე გორგაძეს და სალომე ფირანის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვლადიმერი. 12 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. წაღვლში მცხოვრები პავლე კიკოლას ძე კილაძე.

8 იანვარს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ლუარსაბ ივანეს ძე ..... (გვარი მითითებული არ არის - თ.ლ.) და სალომე უფლისას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იოვანე. 14 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. წაღვლში მცხოვრები გიორგი დიმიტრის ძე მიქელაშვილი.

20 იანვარს სოფ. ტიტვინის წყაროში მცხოვრებ სისო პეტრეს ძე გორგაძეს და ტურფა გიორგის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. 28 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი შორაპნის მაზრის სოფ. არგვეთაში მცხოვრები აზნაური დავით ზურაბის ძე კურცხალია.

3 მარტს, სოფ. წყვდელისში მცხოვრებ გაბრიელ გაბრიელის ძე ქოქაშვილს და ეფემია იოსების ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი საბა. 11 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გიორგი სიმონის ძე გაგოშვილი.

8 მარტს, სოფ. წყვდელისში მცხოვრებ ალექსა ადამას ძე ჯეირანაშვილს და ელისაბედ გლახას ასულა შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 16 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ქალეთში მცხოვრები გარსევან ომანის ძე გაბარაშვილი.

12 მარტს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ მაქსიმე მიხეილის ძე კურტანიძეს და ანუსია მერაბის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მატრონა. 20 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გრიგოლ დავითის ძე მუმლაძე.

10 აპრილს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ალექსი გლახას ძე მუმლაძეს და ანუსია დავითის ასაულს შეეძინათ ქალიშვილი დარია. 18 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. მოხისში მცხოვრები მაქსიმე გიორგის ძე მესხი.

15 აპრილს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ოქრუა იოსების ძე მუმლაძეს და მაია გიორგის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ალექსანდრე. 23 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ტიტვინის წყაროში მცხოვრები გიორგი ნიკოლოზის ძე გელაძე.

11 მაისს. სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ივანე გიორგის ძე კიპაროიძეს და ხათუნა გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ტერეზია. 19 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ხარიტონ გელაშვილის მეუღლე ნატალია პეტრეს ასული.

16 მაისს, სოფ. ჭიანა ღელეში მცხოვრებ თეიმურაზ ანდროს ძე მუმლაძეს და სალომე სპირიდონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სვიმონი. 24 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ნინისში მცხოვრები ივანე კვირიას ძე სტეფნაძე.

2 ივნისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ აღდგომელა თედორეს ძე მუმლაძეს და მაია მერაბის ასულს შეეძინათ ქალიშვილი პელაგია. 10 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები მიხეილ ივანეს ძე ბარბაქაძე.

10 ივნისს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ალფეზა კვირიას ძე გელაშვილს და ანა ანტონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვასილი. 18 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. გეზულაში მცხოვრები ,,პრიხოდის“ მღვდელი ალექსი ანდრიას ძე მტყემალაძე.

18 აგვისტოს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ივანე თევდორეს ძე ხარაზიშვილს და მელანია პეტრეს ასულს შეეძინათ ქალიშვლი მატრონა. 26 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ქინძათში მცხოვრები ივანე გიორგის ძე ნოზაძე.

11 სექტემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ დავით სვიმონის ძე ბარბაქაძეს და სალომე როსებას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი არსენი. 19 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ლევან ანდრის ძე გელაძე.

18 სექტემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ჯიბო ივანეს ძე მუმლაძეს და მარიამ პეტრეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 26 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გიორგი არტემის ძე ბარბაქაძე.

19 სექტემბერს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ თევდორე სიმონის ძე კაპანაძეს და სურბულა სფიროს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ანტიფი. 28 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გიგო პეტრეს ძე კაპანაძე.

* * *

11 სექტემბერს, შორაპნის მაზრის სოფ. ჭალუანში მცხოვრებმა ლუარსაბ ივანეს ძე შუბითიძემ (22) იქორწინა სოფ. ბროლოსანში მცხოვრები ფარსადან მუმლაძის ასულ მარიამზე. სიძის თავმდებნი სოფ. ჭალუანში მცხოვრებნი დიმიტრი თამაზას ძე თითბერიძე, იოსებ ივანეს ძე შუბითიძე, გლახუა ნიკოლოზის ძე ხარაზიშვილი. სასძლოს თავმდებნი სოფ. ბროლოსანში მცხოვრებნი ალექსი ლევანის ძე, გიორგი ნიკოლოზის ძე და ვახტანგ გიგოლას ძე მუმლაძეები.

30 ოქტომბერს, სოფ. უწლევში მცხოვრებმა არსენა იორდანეს ძე მანჩაიძემ (19) იქორწინა სოფ. ულომბოში მცხოვრებ ეგნატე გელაშვილის ასულ ეფროსინეზე(15). სიძის თავმდებნი სოფ. ალში მცხოვრები დიმიტრი იოსების ძე ნოზაძე, სოფ. უწლევში მცხოვრებნი სოლომონ ივანეს ძე და თედო გოგილას ძე ტაპატაძეები. სასძლოს თავმდებნი სოფ. ქინძათში მცხოვრები ნიკოლოზ პეტრეს ძე ნოზაძე, სოფ. ბროლოსანში მცხოვრები ჯიბო ივანეს ძე მუმლაძე, სოფ. ცედანში მცხოვრები დავით ლომკაცას ძე გოგალაძე.

* * *

28 აპრილს, გარდაიცვალა სოფ. ბროლოსანში მცხოვრები თევდორე მუმლაძის მეუღლე ასინეთა იოსების ასული, 27 წლის, საოფლით.

1883

2 თებერვალს, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ ისააკ იმირიმანის ძე ყულუმბეგეშვილს და ეკატერინე ზაზას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ზაქარია. 10 თებერვალს მონათლეს. მიმრქმელი იქვე მცხოვრები ზაალ ყულუმბეგაშვილის მეუღლე მაისა ზურაბის ასული.

11 თებერვალს, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ გრიგოლ გაბრიელის ძე თათარბაშვილს და მართა გიორგის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვასილი. 20 თებერვალს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. აბანოში მცხოვრები ლევან იოსების ძე მიქელაძე.

5 მარტს, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ შალვა ბათარაძის ძე ყულუმბეგაშვილს და მაკრინე ზურაბის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 15 მარტს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. წაღვლში მცხოვრები ბროლოსნის ეკლესიის ,,შტატგარეთ პრიჩეტნიკი'' გიორგი არტემის ძე ბარბაქაძე.

20 მარტს, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ თომა ლიჯას ძე ყულუმბეგაშვილს და რახილ თათუთას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დავითი. 28 მარტს მონათლეს. მიმრქმელი იქვე მცხოვრები მინას ყულუმბეგაშვილის ასული ქეთევანი.

3 აპრილს, სოფ. ჭიანაღელეში მცხოვრებ ფარნაოზ ანდრიას ძე მუმლაძეს და მარიამ გლახას ასულს შეეძინათ ქალიშვილი ანა. 10 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები იაგორ დავითის ძე მუმლაძე.

11 აპრილს სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ნიკოლოზ სიმონის ძე გელაშვილს და ელისაბედ პაატას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იოსები. 19 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები შალვა დავითის შე მუმლაძე.

20 აპრილს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ხარიტონ ივანეს ძე ნოზაძეს და ელისაბედ დავითის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი თევდორე. 28 აპრილს მონათლეს. მიმრქმელ, იქვე მცხოვრენი ალფეზ კვირიას ძე გელაშვილი.

2 მაისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრბ გარსევან ივანეს ძე ჩინჩალაძეს და მართა ექვთიმეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სოგრატი. 10 მაისს მონათლეს. მიმრქმლი, შორაპნის მაზრის სოფ. მანდაეთში მცხოვრები კონა დავითის ძე მუმლაძე.

12 მაისს, სოფ. წაღვლში მცხოვრებ გარსევან ზურაბის ძე მუმლაძეს და სეფორა გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილ ეკატერინე. 20 მაისს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ტიტვნისწყაროში მცხოვრები გოგია წიქარიშვილის მეუღლე ბარბარე ფარსადანის ასული.

22 მაისს, სოფ. წაღვლში მცხოვრებ სარდიონ არტემის ძე ბარბაქაძეს და ევა გრიგოლის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მატრონა. 30 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები გიორგი დავითის ძე მუმლაძე.

24 მაისს, სოფ. ჭიანაღელეში მცხოვრებ სპირიდონ იოსების ძე მუმლაძეს და ელისაბედ ლევანის ასულს შეეძინათ ქალიშვილი დარია. 31 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ტიტვინის წყაროში მცხოვრები მათია ბარბაქაძის მეუღლე ჯუფარა ბერის ასული.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- პოლემიკა -

სასაცილოა ყველა, ვისაც თავი ერთადერთი და განუმეორებელი ჰგონია

ვიცი, ბევრს არ მოგეწონებათ ამ წერილის შინაარსი, მაგრამ როგორც დიდი რომაელები იტყოდნენ - In Roma veritas. როდესაც ჩემს ოჯახში რამე დაძაბულობაა, როდესაც ჩემი ოჯახის წევრი ან წევრები და მე სხვადასხვა პოზიციაზე ვდგავართ, რომელიც შეიძლება კონფლიქტამდეც კი მიდიოდეს, როცა ძალიან გაბრაზებული და ნაწყენი ვარ, მე არ გავრბივარ და მეზობლებში

არ ვიწყებ საქმეების გარჩევას, არც ჩემი ოჯახის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებ, იმიტომ რომ ზუსტად ვიცი - მასზე ძვირფასი ვერცერთი მეზობელი ოჯახი ვერ იქნება, ჩემი ოჯახის წევრებზე მეტად, ვერცერთ მეზობელს ვერ ვეყვარები და მათზე დიდი გულშემატკივარიც ვერავინ მეყოლება ვერასდროს. ამას წინათ, საქართველოს გარეთ, ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან დაწესებულებაში დამიწყეს გამოკითხვა იმ დაპირისპირებების შესახებ, რაც ჩემს ქვეყანაში ხდება, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში. ერთი წინადადებით დავასრულე საუბარი - არაფერი განსაკუთრებული, ყველაფერი კარგადაა და თუ რამე უთანხმოებას აქვს ადგილი, ჩვენვე ვაგვარებთ და მოვაგვარებთ. არ ვიცი, ასე დაბეჯითებით ეს რამ მათქმევინა, მე რისი მომგვარებელი ვარ, მაგრამ არანაირი სურვილი არ მაქვს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ნწუ-ნწუ და ვაი-ვუი ვაძახებინო ჩემს ქვეყანაზე, რომელსაც მართლა ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ მთავარი პრობლემა - უსიყვარულობა და ერთმანეთის ღალატისკენ სწრაფვაა. აღარაფერი უკითხავთ, გავაგრძელე ჩემი საქმე ძალიან მშვიდად და გადავინაცვლეთ ისევ საქმიანი საუბრის ფორმატში. ბოლო პერიოდში რაზეც ვმუშაობ, ის ისტორიული წყაროები კიდევ ერთხელ თვალნათლივ მაჩვენებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი - ქართველების მთავარ პრობლემას: ისტორიულად ასეა, მცირე დაძაბულობის ჟამსაც კი, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთს დაველაპარაკოთ, ნაწილი აღმოსავლეთის ძლიერთაკენ გარბოდა დასმენების ფორმატის ტექსტებითა და ქმედებებით, ნაწილი - დასავლეთის ძლიერთაკენ, ნაწილი - რუსეთის ძლიერთაკენ. რაც მოგვიტანა ამ ერთმანეთის გაწირვისა და საკუთარი თავების გადარჩენის ტენდენციამ, ისტორია გვაჩვენებს - ყველას ყოველთვის ფეხებზე ვეკიდეთ სინამდვილეში, არც დაპირებებს იშურებდნენ, არც ალერსიან სიტყვებსა და თანაგრძნობის ვაი-ვუის, მაგრამ შედეგი არასდროს არ იყო ის, რისთვისაც ჩვენ აქეთ-იქით მეზობლებს ვაწყდებოდით ჩვენი ოჯახის უბედურებების გარეთ გატანით. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ დღესაც არ გვაქვს სახელმწიფო და მგონი, არც არასდროს გვქონია, იმიტომ რომ სახელმწიფოს ერთიანობა ქმნის, ერთმანეთის მოსმენა, არდათანხმება, ხშირად - კონფლიქტიც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოსავლის ერთად ძიება, რაც არ უნდა დაპირისპირებული იყო ვინმესთან. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ჩემს მეზობელს ჩემს ოჯახზე ვაი-ვუის ძახილის საბაბი მივცე. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ რაც არ უნდა აცდენაში ვიყო ჩემი ქვეყნის მეთაურთან, თუ მაინცდამაინც დიქტატორი არაა, სხვა ქვეყნის მეთაურისგან მისი ლანძღვა გამიხარდეს. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ რამე უთანხმოების დროს (თუ მაინცდამაინც მკვლელი არ არის), მამაჩემთან საუბრის ნაცვლად, მისი დასმენა დავიწყო უცხო ადამიანებთან, რაც არ უნდა თვალებს მიჟუჟუნებდნენ და მანუგეშებდნენ ისინი. მე არც ფესტივალების ტრფიალი ვარ, არც ლიტერატურული პრემიების და არც კონკურსების, რომელთა ობიექტურობისაც მართლა არ მჯერა, იმიტომ რომ, ზოგადად, ლიტერატურა არის ძალიან სუბიექტური რამ, მითუმეტეს თუ ისეთ ტექსტს გულისხმობს, რომელიც ჯერ დროს არ გამოუცდია. კონკურსებშიც მიმიღია მონაწილეობა, პრემიებიც გამხარებია, მაგრამ არასდროს მქონია იმის განცდა, რომ თუ გავიმარჯვე, მართლა საუკეთესო ვარ ან თუ ვერ გავიმარჯვე - ყველაზე უარესი. იმიტომ, რომ საკმაო გამოცდილება დამიგროვდა ცხოვრებაში და ვიცი, რა როგორ ხდება. ერთხელ, ერთი ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრობა შემომთავაზეს, 120-ზე მეტი საკონკურსო წიგნი იყო შესაფასებელი, უმრავლესობა - სქელტანიანი პროზაული ნაწარმოები და 1 თვეში უნდა წამეკითხა ეს ყველაფერი. ყველაფრის წაკითხვა არაა საჭიროო - ეგეც მოაყოლეს და ცხადია, უარი ვთქვი. მაგით დასრულდა ჟიურის წევრობაზე შემოთავაზებები ჩემს ცხოვრებაში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ რაც არ უნდა ობიექტურობაზე გამოიდოს თავი ვინმემ, როცა საქმე ლიტერატურას ეხება, ობიექტურობა ძალიან აბსტრაქტული და შეუძლებელი რამ ხდება. რაც არ უნდა მაგარი მწერლები და პოეტები გვეგონოს თავი, ყოველთვის იქნება ისეთი მკითხველი, ვისაც არ მოვწონვართ ან სხვა უფრო მეტად მოსწონს და ესეც ბუნებრივია. დიდ გალაქტიონზეც კი გულწრფელად მეცინება, როცა წარმოვიდგენ, რომ მართლა მეფე შეიძლებოდა ჰგონებოდა თავი. თუმცა ქართულ სინამდვილეში მეფეც იყო და იმპერატორიც. იმის თქმა მინდა, რომ სასაცილოა ყველა, ვისაც თავი ერთადერთი და განუმეორებელი ჰგონია - სინამდვილეში არარაობები ვართ ყველა და ეს მწერალმა ყველაზე კარგად უნდა იცოდეს. ისევ ოჯახის ამბებს რომ დავუბრუნდეთ - მიუხედავად ჩემი, როგორც მოქალაქის, უშუალოდ კულტურის მინისტრის გამოხატვის ფორმებისადმი ძალიან კრიტიკული დამოკიდებულებისა, მიუხედავად იმისა, რომ მგონია - რაც არ უნდა კარგი განზრახვა ჰქონდეს, საჯარო მოხელეს არ შეშვენის გამოხატვისა და კომუნიკაციის ის ფორმები, რომელიც მას აქვს, ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე მწერლების მხრიდან მწერალთა სახლისადმი ბოიკოტი, ჩემთვის ქვეყნისადმი ღალატად აღიქმება, იმ ყველაფრის ნგრევად აღიქმება, რაც აქამდე აშენებულა, სირცხვილად და არამოქალაქეობრივ პოზიციად აღიქმება და ეს ვისაც გინდათ, გეწყინოთ. ყველა, ვინც ბოიკოტის ფორმატს უცხო ქვეყანაში წარმოაჩენთ, ყველა ვინც მეზობლებს შენს ოჯახზე საჭორაოს მისცემთ - მითუმეტეს ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება საერთო ევროპულ ოჯახში, გაფრთხილებთ, რომ იმ ადამიანების გზას მიჰყვებით, რომლებიც ხანდახან მაღალი იდეებით, ხანდახან პირადი გამორჩენის გამო, აქეთ-იქით აწყდებოდნენ - დასავლეთ-აღმოსავლეთის ძლიერებს, რომლებსაც ეს ადამიანები სულ ფეხებზე ეკიდათ სინამშვილეში და რომელთა ეს დამოკიდებულებაც გადასარევად ჩანს ჩვენი ქვეყნის ძალიან ტრაგიკულ ისტორიაში, ჩვენნაირმა ჩვენმა წინაპრებმა - ერთმანეთის გაწირვისა და ღალატისკენ მიდრეკილმა ადამიანებმა რომ გვისახსოვრეს. დიდი ხანია თავს ვიკავებ რამის დაწერისგან მწერალთა სახლის შესახებ - აქეთაც ჩემი მეგობრები არიან, იქითაც ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ ახლა ამ წერილის ბოლოს მინდა ვუთხრა ორივე მხარეს - რაც არ უნდა ძალიან მომწონდეთ და მიყვარდეთ, ვერასდროს დაგიქნევთ თავს იმაზე, რაც არასწორი მგონია; რაც არ უნდა ძალიან არ გეთანხმებოდეთ, არასდროს გამოვდგები უცხო ხალხში და თქვენს ლანძღვას არ დავიწყებ; რასაც კი კარგ საქმეს გააკეთებთ, ყველაფერში მხარს დაგიჭერთ და ვითანამშრომლებ, რომელ მხარესაც არ უნდა იყოთ; ხოლო როცა არასწორად მოიქცევით, თუ ვერაფერს გეტყვით, გავჩუმდები მაინც და არასწორ საქციელში მხარს ვერ აგიბამთ. ამის მიზეზი ერთერთი რამაა - არც ისეთი მაღალი წარმოდგენა მაქვს ჩემს თავზე, რომ ადამიანის გაწირვა შევძლო ოდესმე. ალბათ არც არავის გაინტერესებთ ჩემი ეს გულისტკივილები, მაგრამ მაინც ამოვთქვამ, იმიტომ რომ ლამის 2 თვეა გულგახეთქილი ვუყურებ როგორ ლანძღავენ ერთმანეთს ერთი ოჯახის წევრები და როგორი დაუნდობელი ყოფილა სინამდვილეში ადამიანი. პირადმა გამოცდილებამაც მაჩვენა და ამ ქვეყნის უახლესმა ისტორიამაც, რომ კონფლიქტისას როცა რომელიმე მხარე მთელი სიჯიუტით უარს ამბობს მეორე მხარესთან პირისპირ საუბარზე, ეს ორივე მხარეს აზარალებს, ისეთ ტრავმებს უტოვებს ორივეს, რომელთა მოშუშებაც მერე შეიძლება შეუძლებელიც კი იყოს, საბოლოო ჯამში კი ვერანაირ შედეგამდე ვერ მიდის ვერცერთი, გარდა ერთი შედეგისა - დესტრუქციისა. მე ვის დავკარგვივარ, მაგრამ ძალიან მინდა მწერლებმა მაინც აჩვენონ სხვა მოქალაქეებს იმის მაგალითი, რომ ოჯახი ძალიან ძვირფასი რამაა, განსხვავებულ ადამიანთა ერთობაა, რომელშიც ყველა კონფლიქტს ერთადერთი რამ - სიყვარული, პატიება, მიღება და ერთმანეთან ჩახუტება აგვარებს, იმისთვის რომ გადარჩეს ოჯახი იქნება ეს ერთობა თუ ქვეყანა. აბა, მშვიდობიანი დღე გქონდეთ, მე კი ყველა მიყვარხართ და ყველას სიყვარულსა და სიმშვიდეს გისურვებთ, ჩემი დიდი ოჯახის წევრებო.

თათია მთვარელიძე

რედაქციის მინაწერი:

„ხაშურის მოამბის“ რედაქცია სრულიად იზიარებს წერილის ავტორის თითოეულ პოსტულატს და იმედს გამოთქვამს, რომ წერილის შინაარსი ჩვენი მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობისთვისაც სრული ჭეშმარიტებაა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო განახლებული შემადგენლობით შეიკრიბა

საბჭოს წევრებმა თავმჯდომარედ მორის დანდურიშვილი - ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი აირჩიეს.

საბჭოს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა. წევრებმა მიიღეს ინფორმაცია, მრჩეველთა საბჭოს ფარგლებში, მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს იმ პროექტების შესახებ, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება და დაგეგმილია. დისკუსია შეეხო წყლისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის მიმდინარეობას, ზემო სერის ტყე-პარკის რეაბილიტაციას, მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, უახლოეს პერიოდში დაგეგმილ ხაშურქალაქობის დღესასწაულს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

შეხვედრის დასასრულს მერმა და საბჭოს წევრებმა ორმხრივი პარტნიორობის მზაობა გამოხატეს და თანამშრომლობის ფორმატზე შეთანხმდნენ.

ზაზა სუხიაშვილი: „იაპონიაში ყველაზე დიდი სირცხვილი კორუმპირებული ნათესავისა და მეგობრის ყოლაა, ვერ ჩამოიბან ამ სირცხვილს საუკუნეებიც რომ გავიდეს“

საქართველოში საუკუნეების მანძილზე სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებაში. საქართველო მიწათმოქმედების ქვეყანაა, ღვინის სამშობლოა, რომელსაც ამ სფეროში ძალიან დიდი მომავალი გააჩნია. სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე კი ქვეყნის წინსვლა თითქმის შეუძლებლია. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული, წინ დიდი გზაა. ქვეყნისათვის თუ რაიონისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმატებული ფერმერების საქმიანობა, რომლებიც ხშირად ენთუზიაზმით, ცდილობენ სოფლის მეურნეობის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას. გაზეთის მკითხველს გასულ წლებშიც ვუამბობდით ხაშურელი წარმატებული ფერმერის ზაზა სუხიაშვილის შესახებ. ბატონი ზაზა ძალიან საინტერესო მოსაუბრეა, საკუთარი ხედვები და მოსაზრებები გააჩნია სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის, რასაც პრაქტიკულადაც ახორციელებს უკვე მრავალი წელია. მისი პატრიოტული მიზნები ქვეყნის განვითარებისათვის ხომ ცალკე სასაუბრო თემაა. ზაზა სუხიაშვილი წარმოებაში დასაქმებულ ადამიანებს ურჩევს მათაც ისარგებლონ სოფლის მეურნეობაში არსებული სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებითა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მიერ გამოყოფილი მცირე თუ მსხვილი გრანტებით. განავითარონ სხვადასხვა წარმოება, რითაც მოხდება მშრომელთა საზრვარგარეთ მიგრაციის პრევენცია, ადამიანი საკუთარ ქვეყანაში იშრომებს და იღვაწებს. ფერმერი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მან, თავის დროზე, გარშემო შემოიკრიბა სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ადამიანები და მათ საზღვარგარეთ ემიგრანტად წასვლა გადააფიქრებინა, მშობლიურ რაიონში დაასაქმა და ოჯახებისათვის საარსებო წყარო გაუჩინა.

ზაზა სუხიაშვილმა 2023 წელს იაპონური ორგანიზაცია „ჯაიკის“ მცირე გრანტი მოიპოვა და სექტემბერში იაპონიაში იმოგზაურა. იაპონური სოფლის

მეურნეობის წარმოებას გაეცნო და საკუთარი ფერმერული წარმოების განვითარებაში დაგეგმა მიღებული გამოცდილების შედეგად, გარკვეული ღონისძიებების გატარება.

მცირე ექსკურსი, რას წარმოადგენს იაპონური ორგანიზაცია „ჯაიკა“?

ჯაიკა - იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის, დამოუკიდებელი სამთავრობო სააგენტოა, რომელიც კოორდინაციას უწევს იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარებას.

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო - „ჯაიკა“, დაარსდა 1974 წლის აგვისტოში, ორი ორგანიზაციის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტოს და იაპონელ მოხალისეთა

საერთაშორისო თანამშრომლობის შერწყმის შედეგად. იაპონიის მთავრობის მონაწილეობით ტექნიკური თანამშრომლობის ისტორია, კოლომბოს გეგმისა და ტექნიკური თანამშრომლობის პროექტების დროიდან იღებს სათავეს, რომელიც 1954 წლის ოქტომბერში იყო გაშვებული.

ახალმა „ჯაიკამ“ თავის მოღვაწეობა დაიწყო 2008 წლის 1 ოქტომბერს. იგი შეიქმნა საერთაშორისო თანამშრომლობისათვის იაპონიის ბანკის განვითარების ოფიციალური დახმარების სასესხო განყოფილების, ყოფილი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს გაერთიანებით.

„ჯაიკა“ იყენებს მთელ რიგ დახმარების პროგრამებს, რათა უპასუხოს განვითარებადი ქვეყნების სხვადასხვა მოთხოვნილებებს. იქნება ეს ტექნიკური თანამშრომლობის პროექტები, შეღავათიანი სესხები, საგრანტო დახმარება თუ თანამშრომლობა მოხალისეების მონაწილეობით: იაპონელი მოხალისეთა მივლინება; „ჯაიკა“ს პარტნიორობის პროგრამა; სასწავლო-მოსამზადებელი პროგრამები ახალგაზრდა ლიდერებისათვის, განსაკუთრებული დახმარებები უბედურებების დროს.

ხაშურელმა ფერმერმა ზაზა სუხიაშვილმა იაპონურ ორგანიზაცია „ჯაიკას“ მცირე გრანტით სამ კოლეგასთან, ქვემო ქართლში, რაჭასა და სამეგრელოში მოღვაწე ფერმერებთან ერთად იმოგზაურა იაპონიაში. ქართველი ფერმერები 14 დღის განმავლობაში სტუმრობდნენ ქალაქ ტოკიოს, ხოკაიდოს კუნძულს და რამდენიმე პროვინციას. იაპონურმა ორგანიზაციამ 1700 მოქმედი და ნახევრადმოქმედი კოოპერატივებიდან 4 მათგანი შეარჩია, იაპონური გამოცდილების გაცნობისა და გაზიარების მიზნით, იაპონიაში მოგზაურობისათვის.

ზაზა სუხიაშვილი 70 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს ფლობს და სხვადასხვა მარცვლეული კულტურები, ბოსტნეული და ხეხილი აქვს გაშენებული. ხაშურის მუნიციპოალიტეტში, ლუბრუმაში, ქვიშხეთში, გომში წელს 37 ჰექტარზე ძირითადად ჭარხალი და ხორბალი ჰქონდა განთავსებული. მიიღო ვაშლის, ბლის მოსავალი. მუშაობს ახალი ჰიბრიდული ჯიშის ხილის, „სატურნის“ გამოყვანისათვის. ე. წ. „ხაჭაპურა ატამი“ ხილის ახალი სახეობაა.

ფერმერი ზაზა სიხიაშვილი:

როგორ ხედავენ სოფლის მეურნეობის განვითარებას იაპონელები? როგორც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, იაპონლები ორიენტირებული არიან არა სოფლის მეურნეობიდან მიღებულ მოგებაზე, არამედ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მათი მთავარი საზრუნავია განავითარონ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, უზრუნველყონ სამომხმარებლო ბაზრისათვის ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების მიწოდება, დაინტერესონ და დაასაქმონ მეტი ფერმერი, რაც მომავლის პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, ქვეყნის ძლიერ ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. ეს იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც მათთან სტუმრობისას დავინახე და ვფიქრობ და მცდელობასაც არ ვაკლებ, რომ ჩემს ფერმერულ წარმოებაშიც იგივე პრინციპებით ვიმუშაო. ყოველ წელს 30-მდე ადამიანს ვასაქმებ. ჩემს პარტნიორებს, რომლების გვერდით შემოვიკრიბე, ვეუბნები, რომ მათაც, თავის მხრივ, სხვა ადამიანები დაინტერესონ სოფლის მეურნეობის წარმოებით, მათ გააცნონ სახელმწიფო სასოფლო პროგრამები, მათი დახმარების მნიშვნელობა, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკისათვის ერთ-ერთი წამყვანი სფერო გახდეს. ამ დროს ხომ აღარ მოხდება დაინტერესებული ადამიანების საზღვარგარეთ მიგრაცია, გახდებიან პოტენციური ფერმერები და საკუღთარ წვლილს შეიტანენ საქართველოში, ხაშურში სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ფერმერი ზაზა სუხიაშვილი აწ უკვე „ჯაიკის“ სერთიფიცირებული წევრია. გეგმავს მონაწილეობა მიიღოს მათსავე გამოცხადებულ უკონკურსო გრანტებში, რა დროსაც მიღებული დაფინანსებით, ფიქრობს საკუთარი სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის სასაწყობე და სამაცივრე ნაგებობების დამატებას, რადგან მას აქვს აუცილებლობა შეინახოს მოსავალი და სხვის ხელში არ მოხვდეს მისი ნაშრომი. ხაშურელი ფერმერი მუდმივად ძიებაშია, ამყნობს, გამოყავს ხეხილის ახალი ჰიბრიდული ჯიშები. ავითარებს და აფართოებს ფერმერულ წარმოებას და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მიგრაციის პორევენციას მშრომელთა ადგილზე დასაქმებით ახდენს.

თეა ახალკაცი

რუსუდან მინდიევი - მშვიდობის ელჩი კონფლიქტის ზონაში

წაღვლის თემის სოფელი ჩორჩანა ულამაზესი სოფელია ხაშურის მუნიციპალიტეტში. ესაა სოფელი, რომელიც ოკუპირებული წნელისის მოსაზღვრედ მდებარეობს. სოფელში ამჟამად 12 კომლი ცხოვრობს.

გვინდა რუსუდან მინდიევი გაგაცნოთ, ქალი, რომელმაც საკუთარი სახლის ერთი ოთახი ბიბლიოთეკას დაუთმო. რუსუდანი ეთნიკური ოსია, ქართველების

რძალი და 3 ქართველს უზრდის სამშობლოს. წარმოშობით საჩხერიდანაა. ძალზე ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი თამაზ ლომიძესთან ერთად და დღემდე შეხმატკბილებულად ეწევა უღელს. უფროსმა ქალიშვილებმა, ანამ და ნანამ, უმაღლესი განათლება მიიღეს, უმცროსი ვაჟი გიორგი კი პროფესიას ეუფლება.

2008 წელს, როცა სოფელში რუსული ტანკები შემოვიდნენ, ბავშვები პატარები იყვნენ და იძულებული გახდნენ, რომ სოფლიდან წასულიყვნენ, მაგრამ დაუბრუნდნენ სოფელს, რომელსაც 5 კილომეტრი აშორებს რუსულ საგუშაგოებთან.



-როგორ ცხოვრობს კონფლიქტისპირა სოფელში ქალი?

-გამყოფი ხაზის პირას ცხოვრება ძალიან დიდი განცდაა არამარტო ქალისთვის, კაცისთვისაც. მაგრამ განაჩენი არაა. ჩვენ ამას ვუძლებთ და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სოფელში ვიყოთ და საზღვარი გავამაგროთ.

-როგორია თქვენი ყოველდღიური საქმიანობა?

-ჩემი დილა 6-ის ნახევარზე, ხანდახან 5 საათიდანაც იწყება. ჯერ საქონელს უნდა მივხედო და შემდეგ დანარჩენს. ადგილობრივი ქალები, ძირითადად, საოჯახო საქმეებით, ბაღებისა და საქონლის მოვლით ვართ დაკავებული.

გაზაფხულზე ჯონჯოლს ვკრეფთ სოფლის ტყეებში, რაც არც ისე უსაფრთხოა. ქალთა დღესასწაულებისათვის ყოჩივარდებსა და ფურისულებს ვაგროვებთ ტყეში და ხაშურში ჩაგვაქვს. ვხნავთ, ვთესავთ, მოგვყავს მოსავალი, ვყიდით ყველს, გვყავს ფუტკრები, თონეში ვაცხობთ პურს. გარდა ამისა, გვიყვარს მოლხენა და სტუმარი. ჩემი მეუღლის დიდ სანათესაოს ახლა შვილების მეგობრებიც დაემატა. სოფელში მცხოვრები ქალები ჩართულები ვართ სხვადასხვა პროექტებში, ვსწავლობთ კერვას, ქსოვას რაშიც უანგაროდ გვეხმარება ქალბატონი ხათუნა ჩიტაძე.

- საიდან წამოვიდა ბიბლიოთეკის გახსნის იდეა?

-ჩემს შვილებს იმდენად უნდოდათ წიგნები, რომ ხაშურის ბიბლიოთეკაში ჩადიოდნენ, რადგან არ იყო ფიზიკურად. ერთხელ, ბიბლიოთეკაში სტუმროებისას, გავიცანი დირექტორი, ქალბატონი მაკა დიდებულიძე, რომელსაც შევჩივლე ჩვენი გასაჭირის შესახებ. მომისმინა, დაინტერესდა და ყველა შეხვედრაზე აჟღერებდა ჩვენს პრობლემას. როდესაც საქმე ადგილის შერჩევაზე მიდგა, ვინაიდან სოფელში ვერ მოიძებნა შენობა ან თუნდაც მიტოვებული სახლი, მე გამოვთქვი სურვილი, რომ ჩვენი სახლის ერთი ოთახი დამეთმო ბიბლიოთეკისათვის. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, გუბერნიის, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის მხარდაჭერით, 2020 წელს ჩორჩანაში ბიბლიოთეკა ე.წ. „წიგნის სახლი“ გაიხსნა. უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ლიპარტელიანს, რომელიც უშუალოდ ძალიან ბევრს აკეთებს გამყოფი ხაზის სოფლების ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის, არ ტოვებს უყურადღებოდ არც ერთ ჩვენს პრობლემას. იგივე შემიძლია ვთქვა მუნიციპალიტეტის მერზე თენგიზ ჩიტიაშვილზე. საბიბლიოთეკო საქმის შესწავლაში ძალიან დამეხმარა თამარ შუბითიძე. ვგრძნობ განსაკუთრებულ თანადგომას ქალბატონი კლარა გელაშვილისგან. ვცდილობთ, რომ ჩვენი პატარა სამკიხველო იყოს საჯარო სივრცე შეხვედრებისთვის, ახალგაზრდების შეკრებისთვის. მიხარია, რომ საბიბლიოთეკო ოჯახის წევრი ვარ. ჩვენი მკითხველები არიან ახალგაზრდები და სოფლის უხუცესი ქალბატონები, რომლებიც პირველები ეცნობიან პრესას, ადგილობრივები და დამსვენებლები. წიგნადი ფონდი თანდათან მატულობს, გვაქვს შემოწირული კომპიუტერები, თუმცა სოფელში არ არის ინტერნეტი.

- როგორ ახერხებთ შრომისა და ახალი საქმიანობის შეთავსებას?

-ჩემი აქტიური ბუნების გამო, ძალიან ბევრ აქტივობაში ვარ ჩართული. რაც ქალთა საინფორმაციო ცენტრის დიდი დამსახურებაა. ქალბატონმა ელენე რუსეცკაიამ გვასწავლა, როგორ უნდა გავძლიერდეთ ქალები. სოფელში არც გზა იყო, არც გაზი და გარე განათება. არ გვქონდა მაღალმთიანი სოფლის სტატუსი. ერთმანეთის მხარში დგომით, დავდიოდით ყველგან, მერიაში, სამინისტროებში, დღეს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით, გაგვიკეთდა გზაც, გარე განათებაც, გაზიც. ვსარგებლობთ მრავალი შეღავათით.

- რას ეტყოდით კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქალებს?

მართალია კონფლიქტის ზონაში ვართ, მაგრამ არ უნდა შვუშინდეთ ცხოვრებას, უნდა ვიყოთ ძლიერები, რომ გავაძლიეროთ ჩვენი სოფელი და ჩვენი ქვეყანაც.

ამჯერად მოკლე ინტერვიუთი შემოვიფარგლეთ. ჩორჩანელებზე, მათ ყოველდღიურ გმირობასა და ერთსულოვნებაზე სასაუბრო იმდენია, რომ ერთი პატარა წერილი ვერ დაიტევს.

წერილი მომზადებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს რუბრიკა „თანასწორობის“ ფარგლებში.

ვაცხადებთ მიღებას ავტომძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე

ხაშურის ავტოსკოლა - „ავტობანი 1“ (ყოფილი „დოსააფი“) აცხადებს მსმენელთა მიღებას ავტომძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე A B C D E T S



კატეგორიებზე.

თეორიული მომზადება - 130 ლარი (10 დღე)

პრაქტიკული სწავლება - ავტომობილზე „შკოდა-რაპიდი“ (ავტომატიკა - მექანიკა). ქ. გორის, ქ. ახალციხის და ქ. საჩხერის საგამოცდო მოედნების ზუსტ ანალოგზე. სწავლის ღირებულება:

ავტოდრომზე - 45 წუთი განისაზღვრება 30 ლარით.

ქალაქში ტარების სწავლება 40 ლარი.

აგრეთვე, ვახორციელებთ ქ. გორსა და ქ. ახალციხეში საგამოცდო მარშრუტებზე ტარების სწავლებას

მისამართი: ხაშური, გორგასლის ქ. #13

ტელ: 5 98 22 66 99

5 51 99 22 88

ადმინისტრაცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.